



ლესეტი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი * № 3 (78) 29 მარტი 2013 წელი

27 მარტი – თეატრის საერთაშორისო დღე ეტიუდაზის მხსთა ფესტივალი



29 მარტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და მისი მოადგილეები – მანანა ბერიკაშვილი და ალექსანდრე მარგიშვილი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს საქმიანი ვიზიტით ეწვივნენ.

მინისტრი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, გაერკვა მიმდინარე პროცესებში და არსებული მდგომარეობის გასაცნობად, უნივერსიტეტის ორივე ადმინისტრაციული კორპუსი მოინახულა.

ბოლო წლების განმავლობაში ეს არის კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი ვიზიტი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ჩვენი სტუდენტები „ჰალოსნუტ“ ძალაქში: სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია და ვორკშოპი ფლორენციაში

Promoting Dialogue among the regions of the World to foster a greater awareness of cultural diversity
Caucasian Landscape: Cultural Inheritance and Identity





რამდენიმე დღეა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები დაბრუნდნენ იტალიის, ქალაქ ფლორენციიდან, სადაც საერთაშორისო ღონისძიებებში იღებდნენ მონაწილეობას. სტუდენტური საერთაშორისო კონფერენცია და ვორქშოპი „კავკასიური ლანდშაფტი: კულტურული მემკვიდრეობა და იდენტობა“ (Caucasian Landscape: Cultural Inheritance and Identity) მიმდინარეობდა ფლორენციაში 2013 წლის 10-დან 17 მარტის ჩათვლით. მას ფლორენციაში მასპინძლობდა რომულალო დელ ბიანკოს ფონდი და იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის, შავი ზღვის უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ინიციატივა.

ჩვენი უნივერსიტეტი აღნიშნულ ღონისძიებებში სრული პროფესორის – ნატო გენგიურის, ერთ-ერთი ორგანიზატორის და სტუდენტთა მოხსენებების სამეცნიერო ხელმძღვანელის, ძალისხმევით ჩაერთო. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების სტუდენტები: ანა სოლოლაშვილი, სალომე თოფურია, ელენე სულუაშვილი და დოქტორანტი ქეთევან ოჩხიკიძე.

ბოლო დღეს ქართველმა სტუდენტებმა ფლორენციაში მომზადებული ერთობლივი პრეზენტაცია წარადგინეს. ფონდის პრეზიდენტმა პაოლო დელ ბიანკომ მათ საერთაშორისო სერტიფიკატები გადასცა. (ინფორმაცია და ფოტომასალა იხ. დელ ბიანკოს ფონდის ვებ-გვერდზე).

უნივერსიტეტის მეხუთე ფესტივალი



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მარჯანიშვილის თეატრმა ერთად აღნიშნეს თეატრის საერთაშორისო დღე - 27 მარტი.

ფესტივალის ორგანიზატორია უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა. ფესტივალის სამსახურო ხელმძღვანელი – თემო კუპრავა.

ფესტივალის მიზანია ახალგაზრდების შემოქმედების პოპულარიზაცია და მათი წახალისება, ახალი სახეების აღმოჩენა და ტალანტების გამოვლენა.

უკვე მეხუთე წელია, მარჯანიშვილის თეატრი „ეტიუდების ფესტივალს“ მასპინძლობს. 26 და 27 მარტს, 19:00-საათზე - თეატრალური უნივერსიტეტის I, II და III კურსის სამსახიობო და სარეჟისორო სპეციალობის სტუდენტებმა მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე წარმოადგინეს ეტიუდები, რომელთა ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 7 წუთს. ფესტივალის საკონკურსო პროგრამის ძირითადი ნაწილი პირველ დღეს იქნა ნაჩვენები, მეორე დღეს ეტიუდების მეორე ნაწილი იხილა მაყურებელმა. კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები. მათ გადაეცათ ფულადი ჯილდოები, საღამო დიდი წვეულებით დასრულდა.

ფესტივალი ჩატარდა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს ფარგლებში. ფესტივალზე შემოსული თანხა გადაეცემა ახალგაზრდა მსახიობს, გიორგი ყორღანაშვილს.

უკვე მეხუთე წელია, 27 მარტს თეატრის საერთაშორისო დღეს, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან

ერთად, ეტიუდების ფესტივალით აღნიშნავთ. წლებიდანელი ფესტივალი, აღსანიშნავია იმით, რომ უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს ფარგლებში ჩატარდა. ტრადიციისამებრ, პროფესიონალებისგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ ექვსივე ნომინაციაში გამოავლინა გამარჯვებული.

1. გრანპრი - საუკეთესო ეტიუდი: „Error-ერორი“ - რეჟ. აეთანდილ დიასამიძე (II კურსი, ჯგუფის ხელმძღვანელი ცოტნე ნაკაშიძე); მონაწილეობენ: თემო რეხვიაშვილი, მარიკა ჩხაიძე, გვანცა ენუქიძე, დავით ხორბალაძე;
2. საუკეთესო სარეჟისორო ეტიუდი: „ცოცხალი“ - რეჟ. დავით ხორბალაძე (II კურსი, ჯგუფის ხელმძღვანელი ცოტნე ნაკაშიძე); მონაწილეობენ: ავთო დიასამიძე, გვანცა ენუქიძე;
3. საუკეთესო სამსახიობო ეტიუდი: „ქალის ცხოვრება“- (III კურსი, ჯგუფის ხელმძღვანელი ანდრო ენუქიძე); მონაწილეობს: აშოტ სიმონიანი;
4. საუკეთესო მსახიობი გოგო: თათა თავდიშვილი ეტიუდი „წერი“
5. საუკეთესო მსახიობი ბიჭი: მიშო არჩვაძე ეტიუდი „ცირკი“
6. სტუდენტური ჟიურის სიმპათია: „პაემანი“ – (I კურსი, ჯგუფის ხელმძღვანელი გივი სარჩიმელიძე, თოჯინები). მონაწილეობენ: ვახო მახარეიშვილი, ნატა ბიჭიკაშვილი, თათა ნაჭყებია.

უკვე მეორე წელია, რაც საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც ფესტივალის ორგანიზატორი, თავის სიმპათიას გადასცემს პრინს ნომინაციაში „სტუდენტური თვითმმართველობის რჩეული“

წელს ეს ჯილდო წილად ხვდა: გვანცა ენუქიძეს - ეტიუდით „ცოცხალი“.

სტუდენტური თვითმმართველობა

2013 წლის მაისში გაიმართება შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
2013 წლის 15 მაისს გამართავს**

კონფერენციის პრიორიტეტული თემაა: „**დრო, ხელოვნება და ხელოვნების უფლება**“ ჩვენი ყურადღების ცენტრშია XX საუკუნის ხელოვნება.

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის, ასევე სხვა უნივერსიტეტების და სამეცნიერო დაწესებულებების მკვლევარებს, პროფესორებს და დოქტორანტებს. კონფერენციაზე იმუშავებს თავისუფალი თემატიკის სექციაც.

სექციებზე წარმოდგენილი საბჭოს მიერ შერჩეული მოხსენებები დაიბეჭდება **IV ტომში სერიისა „XX საუკუნის ხელოვნება“**, ხოლო თავისუფალი სექციის თემები უნივერსიტეტის პერიოდულ გამოცემაში **„სახელოვნებო მემკვიდრეობა კიევიდან“**.

მოხსენების თეზისების წარდგენის ბოლო ვადაა 10 აპრილი. სრული მოხსენების წარდგენის ბოლო ვადაა 10 მაისი.

თეზისების მოცულობა: 200-250 სიტყვა.

მნა – ქართული და ინგლისური.

თეზისებს უნდა ახლდეს შემდეგი ინფორმაცია: ავტორის გვარი, სახელი, აკადემიური ხარისხი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა. **დოქტორანტების ნაშრომებს კი ხელმძღვანელის მოკლე რეკომენდაცია.**

მოხსენების სრული ვერსია არ უნდა აღემატებოდეს 7 გვერდს (ქვემოთ მოცემული პარამეტრებით), უნდა ახლდეს შენიშვნები (საჭიროების შემთხვევაში) ლიტერატურის ნუსხა.

ავტორის გვარი, სახელი, აკადემიური ხარისხი, სტატუსი.

წარდგენის ფორმა:

ამობეჭდილი და ელექტრონული ვარიანტი.

შრიფტი – აკად. ნუსხური და Times New Roman (ზომა 12).

საქართველოს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.

გთხოვთ, 30 მარტამდე მოგვაწოდოთ კონფერენციაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა თემების სათაურები და შემდეგი ინფორმაცია:

1. მოხსენების სათაური;
2. მომხსენებელი სტუდენტის სახელი გვარი;
3. სასწავლებლის დასახელება და სწავლების საფეხური;
4. ხელმძღვანელი - აკად. თანამდებობა/ხარისხი, სახელი, გვარი;
5. საჭიროა ხელმძღვანელის რეკომენდაცია (ზეპირი ან წერილობითი).

მოხსენება მოგვაწოდეთ 30 აპრილამდე.

მოხსენება არ უნდა აჭარბებდეს 5 გვ-ს. (რეგლამენტი 10 წუთი).

შრიფტი: აკადნუსხური, ზომა – 12, დაშორება – 1, 5.

კონფერენციების ორგანიზატორი:

ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი,

სრული პროფესორი ნატო გენგიური

ტ. 593 24 42 78; 2 99 41 75

tafu_conference_students@tafu.edu.ge

თბილისი, 0108, დავით აღმაშენებლის პრ. №40, II სართული.

საქართველოს კარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა



28 მარტს 17:30 საათზე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა.

ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის გააქტიურების გადაწყვეტილება განაპირობა იმ გამოწვევებმა, რომლებიც დღეს ქართული თეატრისა და კინოს წინაშე დგას. ეროვნული ბიბლიოთეკა და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთობლივი ძალებით გეგმავენ, როგორც სამეცნიერო და კვლევითი პროექტების, ასევე ერთობლივი კულტურული ღონისძიებების განხორციელებას. ორი ორგანიზაციის მიერ ერთობლივად შესრულებული ყველა სამუშაო ქართული თეატრისა და კინოს განვითარებასა და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

მნიშვნელოვანია, რომ მემორანდუმის გაფორმება გაუმარტივებს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებით და საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზებით სარგებლობას.



ჩვენი სტუმრები „ჯალონურ“ ქალაქში: სტუმრებთან სამართაშორისო კონფერენცია და ვორქშოპი ფლორენციაში
Promoting Dialogue among the regions of the World to foster a greater awareness of cultural diversity Caucasian Landscape: Cultural Inheritance and Identity



ინტერვიუ პროფესორ **ნატო გენგიურთან** და ფლორენციიდან დაბრუნებულ სტუმრებთან მოამზადა **თათია მესხიძემ**, ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალისტის III კურსის სტუდენტმა.

თათია მესხიძე: – ქალბატონო ნატო, გვესაუბრეთ ფლორენციის კონფერენციის შესახებ.

ნატო გენგიური: - ფლორენციის სტუდენტური კონფერენცია და ვორქშოპი მიზნად ისახავდა კავკასიური კულტურის პოპულარიზაციას, სტუდენტთა განათლების ხარისხის ამაღლებისა და ევროპულ კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობას. ორგანიზატორი გახლდათ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ია ხუბაშვილი. მე საორგანიზაციო ჯგუფის წევრი ვარ და შესაბამისად, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი თანაორგანიზატორის როლში. საქართველოს მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ თსუ-ის სტუდენტები (ხელმძღვანელი - პროფ. ინგა სანიკიძე), ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები (ხელმძღვანელები პროფ. მზია მილაშვილი, ბესარიონ ტატიშვილი, ლალი გოჩიტაშვილი), იყო ასევე ვლადიკავკაზის უნივერსიტეტის სტუდენტი მარინა სუშევა. ჩვენი კონფერენციის ჩატარება ფონდის მე-15 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებულ საიუბილეო ღონისძიებებთან იყო დაკავშირებული. იყო მრავალი მაგდის ექსპერტთა სხდომა, რომელზეც მიწვეული ვიყავი და მის მუშაობაშიც მივიღე მონაწილეობა. ჩვენი კონფერენციის პარალელურად გაიმართა სერბეთის უნივერსიტეტების, მოსკოვის სამხატვრო აკადემიის სტუდენტური კონფერენციები და ბოლოს, 16 მარტს, ერთობლივი პრეზენტაციები იქნა წარმოდგენილი. ღონისძიებებს ესწრებოდა სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენელი ევროპის, ამერიკის, იაპონიის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან.

თათია მესხიძე: – თქვენ, როგორც ფლორენციაში ვიზიტის ორგანიზატორი და პროექტის ერთ-ერთი

ხელმძღვანელი, რას იტყვით, რამდენად მნიშვნელოვანია უცხოეთში ვიზიტები სტუდენტებისთვის?

ნატო გენგიური: - მიმაჩნია, რომ სამშობლოშიც და, განსაკუთრებით კი, უცხოეთში ასეთ სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა სტუდენტებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ეს არის საკუთარ თავზე მუშაობის და დიდი გამოცდილების მოკლე დროში მიღების საშუალება და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი რამ. როგორც იცით, ჩვენმა სტუდენტებმა – სალომე თოფურიაძე, ანა სოლოლაშვილიძე, ქეთევან ოჩიკიძემ წარმოადგინეს საკონფერენციო მოხსენებები, რომლებიც ჩემი ხელმძღვანელობით იქნა წინასწარ მომზადებული. თემაზე მუშაობა, ცოდნის გაღრმავება ძალზე მნიშვნელოვანია. ასევე, მათ მიიღეს საკუთარი ნაშრომების ჩვენებისა და სხვების ნაშრომთა გაცნობის ჩინებული შანსი. ამას გარდა, სტუდენტებისათვის ეს იყო უზარმაზარი სასწავლო-სამეცნიერო გამოცდილება, პრაქტიკა, რომელმაც საშუალება მისცა მათ თავი გამოეკვლინათ. ასევე, ორიგინალში ენახათ და ადგილზე გასცნობოდნენ იტალიური (და არა მარტო იტალიური) ხელოვნების ნიმუშებს, მსოფლიო ხელოვნების შედეგებს და ენახათ ის, რისი შესწავლაც ჩვენი სასწავლო პროგრამის კურსებითაა განსაზღვრული. ღონისძიებას მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მათი წინსვლისათვის, ისე ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო ინტეგრაციისთვის. ასევე, ჩვენი ვიზიტით გარკვეული წვლილი შევიტანეთ ქართული ხელოვნების უცხოეთში პოპულარიზაციის საქმეში.

თათია მესხიძე – უნივერსიტეტის სტუდენტები თუ გყოლიათ სხვა დროს წაყვანილი ფლორენციაში?

ნატო გენგიური – ჩვენი პირველი სტუდენტური გასვლა 2010 წელს მოხდა. ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი უნივერსიტეტისთვის. ჯერ ერთი, პირველად იყო, რომ თეორიული სპეციალისტების სტუდენტებისთვისაც გზა გაიხსნა უცხოეთში გამართულ ღონისძიებებზე და მეორეც, მაშინ დელ ბიანკოს ფონდთან ურთიერთთანამშრომლობის შემორანდუმში შედგა.

თათია მესხიძე – რა კრიტერიუმით შეირჩა წაყვანილი სტუდენტები?

ნატო გენგიური – სტუდენტთა შერჩევის კრიტერიუმში პირველ რიგში წარმატებული სწავლა და სპეციალისტის დაუფლების მაღალი მოტივაციაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ენის ცოდნა. ასევე, გადამწყვეტია კონფერენციის თემატიკა. მაგალითად, წლევეანდელი კონფერენცია კულტურულ მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის ურთიერთმიმართებას შეეხებოდა და, შესაბამისად, ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალისტების სტუდენტები შეირჩნენ.

თათია მესხიძე – რამდენად შთაბეჭდავი იყო თქვენ მიერ არჩეული თემა იქ მყოფი საზოგადოებისთვის და ჰპოვა თუ არა გამოხმაურება?

ნატო გენგიური – მოხსენებები, რომლებიც წარვადგინეთ ახალი და საინტერესო იყო უცხოეთისთვის, რადგან კავკასიას შეეხებოდა, აჩვენებდა აქაური კულტურის

თავისებურებებს, მნიშვნელობას, საერთოს და განმასხვავებელს სხვა კულტურებისგან. სერბებსა და მოსკოველებს, მაგალითად, მოხსენებები თავად ფლორენციაზე ჰქონდათ. თავისთავად საინტერესო თემაა, მაგრამ ფლორენციაშიც და სხვაგანაც საყოველთაოდ ცნობილი. ამ ფონზე, ჩვენი თემატიკა, ვფიქრობ, უფრო მომგებიანი და მნიშვნელოვანი იყო ინტერნაციონალური ურთიერთობებისთვის.

თათია მესხიძე: — გაგრძელება თუ არა მომავალში თქვენი თანამშრომლობა ფლორენციის რემუალდო დელ ბიანკოს ფონდთან?

ნატო გენგიური — აუცილებლად, რადგან ეს არის კარგი შანსი ჩვენი კულტურის უცხოეთში გატანისთვისაც და უცხოურის გაცნობისთვისაც, ახალი ცოდნის მიღებისთვის, იდეების, გამოცდილების, კულტურული გაცვლა-გამოცვლისთვის, რაც ყოველთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მინდა, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები ჩავრთო ამ პროგრამებში. ვიცი, რომ ეს მათი წინსვლის ერთ-ერთი ფაქტორია. მაღლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტის რექტორი გიორგი მარგველაშვილი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ზაზა აბულაძე ახლაც გვერდში დაგვიდგნენ და შემდგომშიც იმედი გვაქვს მხარდაჭერისა. საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობას უნივერსიტეტი აცნობიერებს.

კიდევ ერთ მომენტს შევხვები: ფლორენციაში ვიზიტის დროს მოხდა არა მარტო ჩვენი სტუდენტების, არამედ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა და მკვლევართა ნაშრომების უცხოეთში გატანაც. მე წავიდე ჩვენი გამოცემები, კერძოდ ჩემი ხელმძღვანელობით გამოცემული მოხსენებათა კრებულები სერიით „XX საუკუნის ხელოვნება“ და გადავეცი დელ ბიანკოს ფონდის ბიბლიოთეკას და ასევე, ფლორენციის მაქს-პლანკის ხელოვნების ინსტიტუტის ბიბლიოთეკას. ამ უკანასკნელთან ინტერნეტწვდომა აქვს ევროპის მრავალ უნივერსიტეტს, რომელშიც ხელოვნებათმცოდნეობითი სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებები არსებობს. ამდენად, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორების და მკვლევარების სახელები და ნაშრომები ჩაერთო მათ კატალოგებში. ეს მეტად მნიშვნელოვანია.

გავესაუბრეთ ფლორენციიდან დაბრუნებულ სტუდენტებსაც:

თათია მესხიძე — რას იტყობით ფლორენციაში ვიზიტზე?

ანა სოლოლაშვილი — პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც ფინანსურად მხარში დაგვიდგა და ჩვენი მგზავრობისა და ფლორენციაში ცხოვრების ხარჯები გაიღო. ასევე ძალიან დიდი მადლობა ჩვენ ხელმძღვანელს, ნატო გენგიურს, რომლის წყალობითაც გავემგზავრეთ იტალიაში, დავამუშავეთ საკონფერენციო თემები და მონაწილეობა მივიღეთ კონფერენციასა და ვორქშოპში. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ფლორენციაში ვიზიტი და მივიღე დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, რომლებიც ალბათ ცხოვრების ბოლომდე მემანსოვრება. იქ გატარებული თითოეული დღე ემოციურად ძალზე დატვირთული იყო და განსხვავებულად ერთმანეთისგან. ჩვენი ყოველი დღე წინასწარ იყო დაგეგმილი, დავდიოდით მუზეუმებში და



ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში.

ელენე სულუაშვილი — ფლორენცია არის იტალიის ერთ-ერთი გამორჩეული, მე ვიტყვოდი „ჯადოსნური“ ქალაქი. ფლორენცია ტურისტული ქალაქია, აქ შეგხვდება ყველა ასაკის და ეროვნების ადამიანი. ფლორენციას ზოგი ქალაქ მუზეუმს უწოდებს, რასაც ვეთანხმები. იქ მოხვედრა ბევრის ოცნებაა და მეც დიდი ხანია მათ სიაში ვიყავი. საბედნიეროდ ცოტა ხნის წინ ავისრულე ეს ოცნება, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ჩემს საყვარელ ლექტორს ქალბატონ ნატო გენგიურს. მისი ძალისხმევით ჩვენი უნივერსიტეტიდან წავედით ხელოვნებათმცოდნეების ჯგუფი: სალომე თოფურია, ანა სოლოლაშვილი (მე-3 კურსელები) ქეთი ოჩხიკიძე (დოქტორანტი) და მე, ელენე სულუაშვილი (მე-4 კურსელი). ჩვენს წასვლას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა ადგილზე მსოფლიო შედეგების დათვალიერება, ცოდნის გაღრმავება და „ვორქშოფში“ მონაწილეობა სათაურით „კავკასიის კულტურული მემკვიდრეობა და ლანდშაფტი“. ჩვენ საუკეთესო კუთხით გავაცანით საქართველო უცხოელებს: კულტურული მემკვიდრეობით, არქეოლოგიური მონაპოვრით, უძველესი საერო თუ საეკლესიო არქიტექტურით, მხატვრობით, ღვინის კულტურითა და სხვა.

სალომე თოფურია — ბავშვობიდან მქონდა იტალიაში მოგზაურობის სურვილი, თუმცა უკვე სამი წელია (რაც თეატრალურში ვსწავლობ), ეს სურვილი ოცნებად გადაქცევა. ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო იმ შედეგების ნახვა, რომლებსაც აქამდე მხოლოდ წიგნებში ვუყურებდი და რა თქმა უნდა, საერთაშორისო ვორქშოფში მონაწილეობა.

თათია მესხიძე — როგორ ჩაიარა კონფერენცია და რომაულდო დელ ბიანკოს ფონდის საერთაშორისო ვორქშოფმა ?

ქეთევან ოჩხიკიძე — კონფერენცია 11 მარტს გაიხსნა. მისასალმებელი სიტყვა ფონდის გენერალურმა მდივანმა სიმონე ჯიომეტიმ წარმოთქვა — ყველა მონაწილეს მოგვესალმა, კონფერენციისა და ვორქშოფის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ყველა გამოხსენებულს წარმატება გვისურვა. საქართველოს კონფერენციაზე 6 თემა ჰქონდა წარმოდგენილი და მისი გახსნის პატივი ჩვენი უნივერსიტეტის ბაკალავრებს, ულამაზესს გოგონებს სალომე თოფურიასა და ანა სოლოლაშვილს ხვდათ წილად. მათ საქართველოს კულტურულ მონაპოვარზე ისაუბრეს და თავიანთ მოხსენებაში კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვეს მის ინდივიდუალურ, გამორჩეულ ხასიათს. უნივერსიტეტის წარმომადგენლების შემდეგ ჩემი ჯერიც

დადგა. ცოტა არ იყოს, ველავდი... ველავდი იმიტომ, რომ არ არის ადვილი მსოფლიო ხელოვნების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში – ფლორენციაში, ისაუბრო ქართულ ხელოვნებაზე. ეს არის პასუხისმგებლობისა და იმავდროულად სიამაყის განცდა. მოხსენების თემა: „სამინელი სამსჯავროს“ იკონოგრაფია შუა საუკუნეებში. მასში განვიხილავთ თუ როგორ იყო გამოსახული სატანა ქართული კედლის მხატვრობაში და პარალელებს ვავლევთ,

სანდრო ბოტიჩელის „ვენერას დაბადებას“, „გაზაფხულს“ და ლეონარდო და ვინჩის „ხარებას“ რეალობაში ვნახავდი. რა თქმა უნდა, იმის აღნიშვნა ზედმეტია, რომ ორიგინალი და რეპროდუქცია ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან და სრულიად სხვადასხვაგვარი ემოციური დატვირთვა გააჩნია. იყო დღეები, როდესაც იმდენ შედეგს ვნახულობდი ერთად, რომ აღქმა მიჭირდა. დარწმუნებული ვარ ეს გამოცდილება ნამდვილად



დამეხმარება პროფესიონალად ჩამოყალიბებაში. ვისურვებდი კიდევ მრავალ სტუდენტს მიეცეს მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების საშუალება.

ელენე სულაშვილი – ფლორენცია იმითია გასაოცარი, რომ გგონია, უბრალოდ დადისარ ქუჩებში და უცებ კი ისეთ შედეგს გადაეყრები, წინათ მხოლოდ წიგნში ან, ლექციაზე რომ გინახავს: ულამაზეს ტაძრებს, ცნობილი არქიტექტორების, მოქანდაკეების, მხატვრების ნამუშევრებს, რაც ძალიან შთაბეჭდავია. ფლორენციაში მოგ ზაურობა ყველასთვის სასურველია, მაგრამ ხელოვნებათმცოდნეებისთვის ეს ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან აქამდე რასაც გასწავლიდნენ და რეპროდუქციებში ვნახულობდით, ახლა საკუთარი თვალით ვინილეთ.

როგორც ფლორენციის ბაპტისტიკის მოზაიკურ მხატვრობასთან, ისე ბიზანტიურ და დასავლეთეოროპულ მაგალითებთან, მათ შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების საფუძველზე, გვსურს დავადგინოთ სატანის იკონოგრაფიის თავისებურებები სხვადასხვა კულტურაში. ეს თემა მხოლოდ ნაწილია ჩვენი სადოქტორო თემისა, რომელიც ჯერ კიდევ მუშაობას საჭიროებს.

კონფერენციამ წარმატებით ჩაიარა. მოვისმინეთ საინტერესო მოხსენებები და ერთმანეთს ჩვენი აზრებიც გავუზიარეთ. საფუძველი ჩაეყარა ახალ კონტაქტებსა და მომავლის გეგმებიც დავსახეთ, ყველანი კმაყოფილები და ბედნიერები ვართ.

ანა სოლოლაშვილი – რაც შეეხება უშუალოდ კონფერენციასა და ვორქშოფს ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ჩვენი თემები ჩვენი ქვეყნის და მისი კულტურის პოპულარიზება იყო. საქართველოდან გარდა თეატრალური უნივერსიტეტისა, მონაწილეობას იღებდნენ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები. ჩვენ შევეცადეთ ღირსეულად წარმოგვეჩინა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი და ასევე, მთელი ქვეყანა.

თათია მესხიძე – რა იგრძენით როდესაც წინიდან ნასწავლი მასალა ცოცხლად ნახეთ, თუნდაც უფიცის გალერეა, მიქელანჯელოს „დავითი“ სხვადასხვა დიდი მხატვრების ფერწერული ტილოები?

ანა სოლოლაშვილი – იქიდან გამომდინარე, რომ პროფესიით მომავალი ხელოვნებათმცოდნე ვარ, ეს ორმაგად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. როდესაც წლების განმავლობაში სწავლობ ნაწარმოებებს და შემდეგში საშუალება გეძლევა ორიგინალში ნახო უდიდესი ბედნიერება. ალბათ ვერასოდეს წარმოვიდგენდი რომ

ქალბატონი ნატო დაულალავად გვიხსნიდა ყველაფერს. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე **სანტა მარია დელ ფიორეს ტაძარმა**, ბრუნელესკის აშენებული გუმბათით, პირველი შოკი მანდ დამემართა. იმის მიუხედავად, რომ სურათებში ბევრჯერ მქონდა ნანახი. მომხიბლა აგრეთვე **მიქელანჯელოს დავითმა აკადემიის გალერეაში** და „უფიცის“ გალერეამ, სადაც რენესანსის ოსტატთა შედეგებია თავმოყრილი. ყველაფერი ეს იმხელა გავლენას ახდენს მნახველზე, რომ რთულია გააცნობიერო. ჩვენს იქ ყოფნას დაემთხვა **სალვადორ დალის** გამოფენაც, მსოფლიოს კიდევ ერთი დიდი ოსტატის ნამუშევრებიც ვინილეთ, თუმცა სხვა ეპოქიდან.

არ შემიძლია არ ვახსენო იტალიის ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქი **სიენა**, აქაც ქალბატონმა ნატომ წაგვიყვანა ცოდნის გაღრმავებისთვის. სიენა ცნობილია, როგორც შუა საუკუნეების ქალაქი. მის ქუჩებში სიძველის განცდა დაგყვება. ამ ქალაქმა აღმართოვანა. სიენაში პატარა ქუჩებიდან გადიხარ დიდ მოედნებზე, ვიწრო ქუჩიდან უცებ დიდ ტაძართან ან, ულამაზეს შადრევანთან აღმოჩნდები. სწორედ ასე მოვხვდით სიენის ულამაზეს პალაცო პუბლიკოში, სადაც გავეცანით სიმონე მარტინის მხატვრობას. ასევე აღსანიშნავია სიენის წმ. მარიაძის ულამაზესი ტაძარი, იტალიურად ღუმო, რომელმაც მთელი ჯგუფი გაოცებასა და აღფრთოვანებაში მოგვიყვანა.

სალომე თოფურია – რაც შეეხება უფიცის გალერეას და მიქელანჯელოს ქანდაკებებს, ალბათ რთული მისახვედრი არ იქნება ჩემი ემოციები. ოცნებად მქონდა ბოტიჩელის ვენერას ნახვა, რომელიც განსაკუთრებით მომწონს. მის დანახვაზე ცრემლები ვერ შევიკავე, რადგან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, იგივე შემიძლია

ვთქვა ბოტიჩელის სხვა ტილოებზე: „გაზაფხულზე“ „მოგვთა თაყვანისცემაზე“ და ა.შ. მიქელანჯელოს ქანდაკებები კი ჩემთვის ყოველთვის ნამდვილი ხელოვნების ნიმუში იყო. მისი „დავითის“ დანახვისას მეგონა ვერ გავუძლებდი ემოციებს. აღსანიშნავია, რომ უფიცის გალერეაში ვნახეთ მისი ერთადერთი ფერწერული ტილო „წმინდა ოჯახი“. ასევე ვნახეთ ვოტოს, რაფაელის, ლეონარდო და ვინჩის, კარავაჯოსა და კიდევ უამრავი დიდი მხატვრის ნამუშევრები.

თათია მესხიძე – რამდენად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა თქვენთვის?

ანა სოლოლაშვილი – ასეთ პროექტში მონაწილეობა ნებისმიერი სტუდენტისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა და ასევე იყო ჩემთვისაც. ახლა უკვე მაქვს გამოცდილება მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობისა, თან აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტი არის საერთაშორისო ღონის და ეს ფაქტორი დამატებით მოტივაციას იძლევა. ქართველების გარდა მონაწილეობა მიიღეს სერბმა, ყაბარდოელმა და რუსმა სტუდენტებმა, ასევე პროფესორებმა ევროპის რამდენიმე ქვეყნიდან, იყვნენ იაპონიიდანაც და ამერიკიდან. თითოეული ქვეყნის წარმომადგენელი დანარჩენებს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდა.

ქეთევან ოჩხიკიძე – ეს ჩემი პირველი ვიზიტი იყო იტალიაში. პირველი და რა თქმა უნდა, დაუვიწყარი. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ქ-ნ ნატო გენგიურს ყველაფრისათვის, რასაც აკეთებს თავისი სტუდენტებისა და დოქტორანტებისათვის. მისი ხელშეწყობითა და მონღომებით მოგვეცა საშუალება, მონაწილეობა მიგველო საერთაშორისო ღონის კონფერენციაში, გაგვეფართოვებინა ჩვენი მოღვაწეობის არეალი, შეგვეძინა მნიშვნელოვანი გამოცდილება და ახალი მეგობრები, დავმდგარიყავით ახალი პერსპექტივებისა და მნიშვნელოვანი გამოწვევების

წინაშე, რაც ძალზე აუცილებელი და შეუფასებელია დამწყები მკვლევარებისათვის.

სალომე თოფურია – პირველ რიგში უდიდესი გამოცდილება მივიღე, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდის თეატრალურ უნივერსიტეტს და პირველ რიგში ქალბატონ ნატო გენგიურს, რომლის წყალობითაც მოვხვდი ამ პროექტში და შევძელი მენახა უამრავი შედეგრი.

ელენე სულუაშვილი – მივიღე დიდი ცოდნა და გამოცდილება. ჩვენი „ჯადოსნური“ მოგზაურობა დამთავრდა იმით, რომ ბატონმა პაოლო დელ ბიანკომ სათითაოდ გადმოგვცა სერთიფიკატები და დაგვკაპტიჟა წვეულებაზე, სადაც სტუმრებს ქართული სამზარეულო და ღვინოც გავაცანით, რამაც დიდი მოწონებაც დაიმსახურა უცხოელების მხრიდან. ბოლოს კი იმით მინდა დავასრულო, რომ სხვა სტუდენტებს ვუსურვო წარმატებები და სურვილების ასრულება. ვინც ჩემსავით ოცნებობს ფლორენციაში მოგზაურობაზე, ვუსურვებ მათაც აუნდეთ ოცნება, ეს რეალურია.

ფლორენციაში ვიზიტი, კონფერენციასა და ვორქშოფებში მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან სტუდენტებისათვის ეს დიდი გამოცდილება და ერთი ნაბიჯით წინ წასვლაა პროფესიულ დაოსტატებაში.

თამარ მესხიძე,

ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობის
III კურსის სტუდენტი

რეცენზია

„ჩემი ჰამლეტი“



სპექტაკლის შემდეგ დაცარიელებულ და არეულ საკრიმიოროში შემოდის დამლაგებელი (ქეთი ცხაკაია) და იწყებს ლაგებას. თანდათან ირკვევა, რომ ეს ქალბატონი შეყვარებულია თეატრზე, მან ოთხჯერ სცადა ჩაბარება თეატრალურ ინსტიტუტში, სამწუხაროდ, ოთხჯერვე უარით გამოისტუმრეს ახლომხედველობის გამო. მართალია, მან ვერ მოახერხა სცენაზე თავის წარმოჩენა, მაგრამ თეატრალურ სამყაროს მიანიც არ მოსწყდა, მისი

სიყვარული იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ თეატრში დამლაგებლად მუშაობას შეუდგა. ამ ამბის თხრობით იწყება მარჯანიშვილის თეატრის სხვეში ბესო კუპრეიშვილის სპექტაკლი – „ჩემი ჰამლეტი“. საკრიმიოროს ლაგებისას ქეთი ცხაკაიას პერსონაჟი სხვადასხვა ნივთებს აწყდება, რომელთა დაკავშირებასაც ცდილობს შექსპირის პიესებთან – იღებს იატაკზე დაგდებულ



თეორ ცხვირსახოცს და ამბობს: „ილოცე ბილის წინ, დეზდემონა...“ შემდეგ დამჭკნარი ყვავილების პატარა თაიგულს მიმართავს – „ოპ, ყვავილი, ოფელიას ყვავილი...“ ამ ეპიზოდთან კარგად ჩანს, რომ დამლაგებელ ქალს აქ, თეატრში თავისი სამყაროსთვის მიუგნია: მას უყვარს აქაურობა, ყოველ ნივთს ეფერება, თითოეულის დანიშნულება იცის, ყოველ მათგანს დიდი სინაზით ეპყრობა.

დამლაგებელი ხელში შექსპირის წიგნსაც იღებს, გაისმის მისი სიტყვები: „არარაობა, დელაკაცი უნდა გერქვას შენი...“ იცვლება დეკორაცია. საგრძობად სარკე, მაგიდა, სკამი მოულოდნელად სხვა დანიშნულებას იღებს. დეკორაციას არაფერი ემატება, მხოლოდ რეკვიზიტის განლაგება იცვლება და სწრაფადვე იცვლება მაყურებლის დამოკიდებულებაც.

ბნელდება სცენა და ნათდება სარკე. ამ სარკეში შედის მსახიობი, როგორც სხვა სამყაროში. ეს „ჰამლეტის“ (პიესის) სამყაროა, თოჯინებით წარმოდგენილი. ისინი გაქვავებულები, თვალდახუჭულები, მაგრამ მხედველნი, მეტყველი სახეებით ერთმანეთს შესცქერიან. მაყურებლისთვის კი მოულოდნელობის ყველაზე დიდი ეფექტი შეიძლება ის იყოს, რომ ქალი იქცა ჰამლეტად, დანიის პრინცად. უცნაური მოულოდნელობა!.. ეფექტი მით უფრო ძლიერია, თუ მაყურებელმა არ იცის, რომ ჰამლეტის როლი ქალს სხვა დროსაც, სხვა ქვეყანაშიც უთამაშია. მაგალითად, სარა ბერნარს, მსოფლიოში სახელგანთქმულ ფრანგ მსახიობს – ვირტუოზული, დახვეწილი ტექნიკითა და არტისტული გემოვნებით გამორჩეულს, ყოველთვის გამოგნებლად წარმატებულს და თუ ესეც ვიცით, არ შეიძლება ორმაგი მოწივება არ გაგვიჩნდეს ქეთი ცხაკაიას მსახიობური ამბიციის მიმართ – მან ხომ საკუთარი თავის გაიგივება უნდა შეძლოს დანიის პრინცთან. ამავე დროს, პიესის ყველა როლიც თავად უნდა შეასრულოს და თანაც ისე, რომ ყველა პერსონაჟი თოჯინური იყოს. რთული და გაბედული მხატვრული ამოცანა! თითქმის მიუღწეველი.

მიუღწევლის მიღწევის ცდად მიაჩნდა ჰამლეტის როლის ადეკვატური შესრულება უისტენ ოდენს, პოეტსა და დრამატურგს, რომლის შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე მხატვრულ აზროვნებაზე. მის „ლექციებში შექსპირის შესახებ“ ვკითხულობთ: „უცნაურია, რომ ყველა ცდილობს საკუთარი თავი ჰამლეტთან გააიგივოს, ქალებიც კი – სარა ბერნარმა მოახერხა და ითამაშა ჰამლეტი. სინარულით მინდა გაცნობოთ, რომ სექსტაკლზე მან ფეხი მოიტეხა.“ ოდენის „ნიშნის მოგება“, რა თქმა უნდა, რიტორიკული ხერხი იყო და არა ღვარძლიანი ირონია, რათა სტუდენტებისთვის გამოკვეთილად მიეწოდებინა საკუთარი აზრი, რომ შექსპირის „ჰამლეტი“ ტრაგედიაა, რომლის მთავარი როლი ჯერ კიდევ ვაკანტური რჩება, ანუ, აქ როლი ტრაგიკული მსახიობისთვის ჯერ არავის მიუღია. ეს 1946 -1947 წლებში ნიუ-იორკში წაკითხულ ლექციათა კურსში ითქვა. მას შემდეგ მსოფლიოს მრავალ თეატრში, მრავალი ჰამლეტი განხორციელდა. დღეს რას იტყვოდა

ოდენი, არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ ყველას,, თავისი ჰამლეტი ჰყავს. ვფიქრობ, ამაზე მიუთითებს წარმოდგენის სახელწოდებაც – „ჩემი ჰამლეტი“.

ვინ არის იგი? იმ სახელმწიფოს ტახტწართმეული პრინცი, სადაც ყველაფერი „დალაპა“, თუ ფილოსოფიურად მოაზროვნე სტუდენტი, რომელიც სულ ახლახან ჩამოსულა ვიტენბერგის უნივერსიტეტიდან (იმ ვიტენბერგიდან, მასონთა აქტიურობა რომ არ უკვიროთ) ან იქნებ შურისმაძიებელი, რომელიც კლავდიუსსა და ჰერტრუდას ეჭვებს აღუძრავს, რომ იგი შეთქმულებას უწყობს მათ, ან იქნებ ჰამლეტი მართლა შეშლილია დარდისგან, რომ მისი აღვირახსნილი დედა თავისი ქმრის მკვლელს, საკუთარ მახლს ანუ ჰამლეტის ბიძას, გაჰყვია ცოლად? იგი შემრული უნდა იყოს ყველაფრით: დედის უზნეობით, მამის მკვლელობით, ბიძის ვერაგობითა და დაუნდობლობით, დანიის სამეფო ტახტის დაკარგვით, რომელიც ბიძამ უკანონოდ წაართვა. აქ გააიგივებისთვის საკმაო საფუძველია. მაგრამ იგი ნამდვილად არ არის შეშლილი, ასეთად მხოლოდ თავს გვაჩვენებს. ამ პიესის მრავალი ინტერპრეტაცია და ადაპტაცია არსებობს. მრავალი განსხვავებული ჰამლეტი და ოფელია უნახავს მაყურებელს, განსაკუთრებით გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა დღის წესრიგში დადგა ტრადიციით დამძიმებულ-დახავსებული ტექსტის გადასინჯვის დრო.

ძიების გზაზე ფრანკო ძეფირელიმ აღმოაჩინა გასაღები, რომლითაც უნდა „გაეხსნა შექსპირი“ თანამედროვეთათვის. ეს გასაღები იყო „ერთგვარი დამიწებისა და ცხოვრებასთან მიახლოების“ გაუბრალოების ხერხი. ამ მეთოდით ლონდონში დადგმულმა „რომეო და ჯულიეტამ“ წარმოდგენილი წარმატება მოიპოვა. შემდგომში ძეფირელიმ გულახდილად ჩამოაყალიბა თავისი ადაპტაციის პრინციპი. იგი წერდა: „რატომ უნდა იწყენდეს პუბლიკა შექსპირის სექსტაკლზე? მე სრულებითაც არ მენაღვლება ტრადიცია, სრულყოფილი დიქცია თუ სტილიზებული მოძრაობები – ყველაფერი, რაც ტიპობრივია შექსპირის დადგმებში! ვის სჭირდება ეს ჩვენს დროში?... ვერ ვიტან, როცა შექსპირი გაქვავებულია სცენაზე, გაყინული. ის ისეთი გენიალურია, რომ მისი პიესების დადგმები სიცოცხლითა და სისხლით უნდა ფეთქავდნენ“. მიუხედავად ასეთი დეკლარაციისა, ძეფირელის მეთოდი მასკულტურის პროდუქტთა ფაბრიკაციის საშუალებად არ ქცეულა. მან კი ადაპტაციის გენიოსის სახელი მოიხვეჭა.

ცხადია, რომ „ჰამლეტის“ ტექსტს აღარ მოუხდებოდა უშუალოდისა და უბრალოების ის გასაღები, რომელიც ძეფირელიმ აღმოაჩინა. ამიტომ პიესის „დამიწებისა და ცხოვრებასთან მიახლოებისთვის“ მან თანამედროვე ფროიდიზმის სულისკვეთების შესაბამისი მიდგომა გამოიყენა. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, რეჟისორმა ჰამლეტში „დაიანახა“ უმწიფარე ჯაბუკი, ზრდაშენერებული ბიჭუნა, რომელსაც დედისა და კასტრაციის კომპლექსი აწვალებს, არ იცის ქალი, აქვს ჰომოსექსუალური მიდრეკილებები (ლაერტი უყვარს), სძულს მამა და თხზავს მითს მის შესახებ მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ ეს მითი თავადვე დაამსხვრიოს; სძულს მთელი სამყარო, რადგან ეს სამყარო უფროსებს ეკუთვნის; ოფელია ფრუსტრაციის ტიპობრივი შემთხვევაა, ფორტინბრასი იმედს კი არ განახორციელებს, არამედ ჰამლეტის უკანასკნელ იმედგაცრუებას; იგი ერთი უდიდამო ოფიცერია... სხვა ადაპტაციებსა და ინტერპრეტაციებს არ შეეხები, როგორც აღვნიშნე, ისინი ბევრია თეატრსა და კინემატოგრაფში. ასევე, ტელევიზიასა და ლიტერატურული ესტრადის ფიცარანაგზე. გავიხსენოთ მონოსექსტაკლები, რომლებიც სხვადასხვა თაობის წარმომადგენელ ხელოვანს მაგალითად, ინგლისელ ჯონ



გილგუდს, რუს ვლადიმერ რეცეპტერს, მის თანამემამულე ვლადიმერ ვისოცკის, მოსკოვის თეატრ „ტაგანკის“ სპექტაკლში, რომლის დამდგმელი რეჟისორიც იყო სკანდალურად სახელგანთქმული იური ლიუბიმოვი (ეს უკანასკნელი ახსოვს ძველი თაობის თბილისელ მაყურებელს). ზოგიერთი მათგანი, მაყურებლის წინაშე წარმდგარა პირისპირ დეკორაციისა და სპეციალური განათების გარეშე... ამგვარი მრავალფეროვნება ზოგადად იმას მოწმობს, რომ გამეორება არ არის ხელოვნების ამოცანა.

ცხადია, ეს ამოცანა არ დაუსვამთ „ჩემი ჰამლეტის“ შემქმნელებსაც. ქეთი ცხაკაიას აქტიორულმა ინდივიდუალობამ, თეატრალური აზროვნების თავისუფლებამ და ბესო კუპრეიშვილის ჩანაფიქრთან თანხვედრამ შესაძლებელი გახადა ახალი, განსხვავებული ჰამლეტის დაბადება სცენაზე – ჰამლეტის პერსონაჟის, რომელიც მთლიანად იტევს თეატრს. ეს სორციელობა არა მარტო გარდასახვათა ფიქრვერკით, არამედ იმ რთული სქემით, რომლის აღმოჩენა შეიძლება ამ გარდასახვაში (ვეულისხმობ რამდენიმე სახის გარდასახვას, რომელსაც ქეთი ცხაკაია აღწევს). პირველი გარდასახვა, რომლის გარეშე არ არსებობს თეატრი და რომელიც სცენის გარეთ ხდება, არის მსახიობის მოვლინება დამლაგებელი ქალის როლში; ეს ქალი და არა ქეთი ცხაკაია, გარდასახება ჰამლეტად; ორმაგად გარდასახული გარდასახება თოჯინების გამოამაშებლად, რომელიც „თოჯინურად“ ასრულებს – თოჯინების მეშვეობით ქმნის ჰერტრუდას, კლავდიუსის, პოლონიუსის, ლაერტის, ოფელიას, მესაფლავის, როზენკრანცის, გილდენსტერნის მხატვრულ სახეებს. გამოამაშებელი გარდასახება თოჯინად და ასეთი თოჯინა რვაა, ცალ-ცალკე ესენიც ახალი როლები და მსახიობის გარდასახვა, მაგრამ, ასე ვთქვათ, პარალელური და არა შრეობრივი. შრე ხუთი გამოდის, თუ არ შევცდი, ე. ი. ხუთმაგ გარდასახვას განიცდის ერთდროულად მსახიობი, ოდენობით კი – უფრო მეტს, თუ დავუმატებთ მინითაქტში (გონზავოს მკვლელობის ამბავი) მის მონაწილეობას და ყველაფერს შევკრებთ. რა თქმა უნდა, მაყურებელს ეს არ ამბიძებს, ის არ აანალიზებს ამას, აღიქვამს მსახიობის მომხიბლავ თამაშს და არ ფიქრობს იმ უცნაურობაზე, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ. გარდასახვათა ეს ხლართი, რომლის მსგავსიც, არ გამოიგონია და რომელიც შეიძლება უნებლიედაც შეიქმნა (შედეგისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს), ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამაში ვხედავ „ქეთი ცხაკაიას ჰამლეტის“ გასაღებსაც და სხვა ჰამლეტთაგან მის განსხვავებასაც.

როგორ უნდა გადმოიცეს არაცოცხალი მასალით (ხით, რეზინით, პლასტმასით და ა. შ.) ადამიანთა გრძნობები, განცდები, ვნებანი და ის დიდი ტრაგედია, რომელიც სულ მალე აქ დატრიალდება?!.. რეჟისორის მიერ მიგნებული ფორმებით, სხეულის დეფორმირებული ნაწილებით, უცნაური მოძრაობებით. ამ თოჯინებს „მიმიკაც“ კი აქვთ, ღიმილისა და ტანჯვის გამომხატველი, თუმცა სახეზე ნაკვთი არ უკრთით. დანის დედოფალ ჰერტრუდას სახის „მიმიკას“ შეუქრდილები უცვლის: ყურებამდე გაღიმებული სახე, უეცრად შეიძლება ტანჯული ქალის სახედ იქცეს; კლავდიუსს, რომელსაც დრამატურგმა ბოროტი და მზაკვარი ადამიანის როლი არგუნა, დიდი ცხვირი და დიდი ოთხკუთხა ყბა აქვს, თვალები კი გადმოკარკლული. ხმა, ინტონაცია, ტემპრი - მსახიობს საშუალებას აძლევს შეზღუდული ფაქტურით (ხე მაინც ხეა, თოჯინა კი – თოჯინა), საინტერესო სახეები შექმნას. წარმოდგენაში რეზინის თოჯინებიც მონაწილეობენ - როზენკრანცი და გილდენსტერნი – ხორთუმიცხვირია დიდთვალა არსებები, რომლებსაც ქეთი ცხაკაია ხელებზე ჩამოიცვამს კრივის



ხელთათმანებით და ისე ურტყამს ერთმანეთს, თითქოს კრივი იმართებოდეს შეჯიბრი. გამორჩეულია ოფელია – მშვიდი, ნაზი და ტანჯული; ცოცხალი ადამიანივით მოძრაობს მესაფლავე, მისი მიხრა-მოხრა ადამიანის სიარულის ადეკვატურია. გამომსახველია თოჯინა, რომელიც ჰამლეტს ამცნობს ლაერტთან ღუელში გაწვევის ამბავს. იგი ძალიან პლასტიკურია, ამავე დროს სახიერი – თავზე წვრილი ნემსების თმა აქვს, ხოლო გრძელი ყელის ნაცვლად – ზამბარა. ის იგრძნობს და გველის ასოციაციას იწვევს იმდენად, რომ თითქოს სისინიც ისმის.

ყოველგვარი ზედმეტი დეკორაციის გარეშე, მარტივად და საინტერესოდ გადმოგვცა სათქმელი მხატვარმა ვახტანგ ქორიძემ. არაფერია სცენაზე მაგიდის, სკამის (შავი ყუთი), სარკისა და უჯრების გარდა, რომლებსაც კუბოს ფორმა აქვს. მათი მეშვეობით სასაფლაოს სცენა მშვენივრად არის გადმოცემული. საგრიმიორო სარკესაც აქვს სხვა დანიშნულება, ის წარმოადგენს თოჯინების მინითაქტის თეჯირს, რომლის საშუალებითაც ჰამლეტი სამეფო ოჯახს აწვევებს სპექტაკლს გონზავოს მკვლელობის შესახებ.

მუსიკალური გაფორმება (იოსებ ბარდანაშვილი) ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო და მნიშვნელოვანი შტრიხია ამ სპექტაკლში. მელიორია თემატურად მიჰყვება სცენაზე განვითარებულ მოვლენებს, ის ახერხებს მაყურებლის მონუსხვას და აიძულებს, იფიქროს იმ პრობლემაზე, რაც სცენაზე დგას.

ჩვეულებრივი სპექტაკლისგან განსხვავებით, მონოსპექტაკლი უფრო მონოტონური და მინორულია, ნაკლები აქტიურობა და მრავალფეროვნებაა ხოლმე მასში, რაც ამ წარმოდგენას ნამდვილად არ ახასიათებს. ეს, დამდგმელ ჯგუფთან ერთად, ქეთი ცხაკაიას უდავო დამსახურებაა. იგი მსახიობია, რომელსაც არ სჭირდება ანშლაგი იმისთვის, რომ სრული დატვირთვით ითამაშოს, სათქმელი ბოლომდე თქვას. სწორედ ამ სპექტაკლში შესრულებული როლისთვის მიიღო მან ღურუჯის პრიზი.

წარმოდგენა დასასრულს უახლოვდება, ვბრუნდებით ისევ საგრიმიოროში. ჰამლეტი ისევ მეოცნებე დამლაგებელია, ყველა გარდასახვა დამთავრებულია, ერთის გარდა. თეატრზე შეყვარებული ქალი, რომელიც თვითონ აღმოჩნდა მთელი თეატრი – ქეთი ცხაკაია – ამჯერად დაღლილი და მოღუნებული მიწვება მაგიდაზე და ისევ „თავისი ჰამლეტის“ სიტყვებს წაილულულებს: „სხვა რაღა დარჩა, საუკუნო სიწუმე მხოლოდ“...

ნუნა კობაიძე,

თეატრმცოდნეობის სპეციალოზი, IV კურსი
ხელმძღვანელი: ვია ცქიტიშვილი



სყდენსური სვეტი

* * * * *

ქრისტე ჯვარცმული,
 სადღაც ჩემშია,
 არ მავნიწყდებოდა,
 ბრიყვი იუდა,
 რომ ვარ ცოდვილი
 და სულს რომ შია,
 სული მიფყრებოდა,
 მებნევა ხურდა,
 რომ ვარ ცოდვილი
 ბრალი ვისია,
 საკუთარ თავში
 რომ ვეძებ მართალს,
 ვიღაც მოცლილი
 ავი სულია,
 ცოდვების თვლაში
 რომ გვირგვინს მადგამს.

* * * * *

მინდა გაჩუქო მე საქციელი,
 და არა რაღაც ყვაილთა გროვა,
 და მერე რა თუ მიყვარს ბოჭყმა
 ჯიბეში მიჭირს მე ხურდის პოვნა.

რაღაც დიდებულს ვერ შეგპირდები,
 მაგრამ გაცხოვრებ მყუდრო ბინაში,
 მაინც იქნება ჩვენ სახლში სითბო
 თუგინდ არ ენთოს ცეცხლი ბუხარში,

მაინც გიყიდი იმ ლამაზ კაბას
 თვალს რომ ვერ მოწვევებ მაღაზიაში,
 გაგხდი ბავშვივით ცელქსა და თამამს
 ბევრს რომ უყვარდი ალბათ სკოლაში.

ლექსებს გაყიდი მე თითო ცენტად,
 და შევეცდები ათასებს ავცდე,
 რომ ყველა ლექსი შენზე დავწერო
 შენი პირადი პოეტი გავხდე.

ვისკის მაგივრად ჩვენ დავლევთ ცივ ლულს,
 მაგრამ ვისკივით დაგათრობ ლექსით.
 ყველა სიგიჟეს ერთად ჩავიდენთ
 და არაფრისგან ყველაფერს შევქმნით.

მინდა რომ შენი შემურდეს ყველას
 რადგან მილიონ ლექსად იქცევი,
 და როგორც მტკვარი ვერასდროს თბილისს
 შენ ამ სიგიჟეს ვერ გაექცევი,

ერთად თბილისის ვიწრო ქუჩებში
 ლამის წყვილად ვიცეკვებთ სშირად,
 იმდენს გაკოცებ ვნებით ტუჩებში
 ცა დაგვიდგება დილაძღე შირმად.

უპონტო პონტსაც მე პონტად ვაქცევ,
 რითმებს აგიგებ იქვე ექსპრომტად,
 შენი გულისთვის მე თავსაც ვაგვცემ
 ვიქცევი ჩემი თავის იუდად.

ყოველ კოცნაზე ისე დაგაბნევ,
 როგორც პირველმა კოცნამ, რომ იცის
 და ხელებს ტანზე ისე შეგავლებ,
 რომ ვნება წამით ველარ დაიცდის.

ჩუმად ვიფიქრებ, რით გაგახარო
 რადგან შენა ხარ ჩემი თილისმა
 შენზე ლექსებს მე კედლებს წავაწერ,
 რომ დილით ნახოს მთელმა თბილისმა...

* * * * *

მაოცებდა მე ყოველთვის, ხეოფსის პირამიდა,
 კითხვა მქონდა ყოველთვის, რა მინდა და რა არ მინდა,

არასოდეს მქონია სიყვარულში – Heppy and
 მე ყოველთვის მიყვარდა ნატანტარი როგორც ბრენდი.

ქალში მიყვარს რომ ენთება, რომ ელძვრება სურვილი,
 ყველა მცნება დაარღვიოს, როგორც მუნჯმა ღუმელი.

მიყვარს რა ვქნა ნუ გამკიცხავთ, დალილ ქალის
 სურნელი,
 ცხოვრებაში რისკი მიყვარს, როგორც ველად ღუელი.

მიყვარს როცა ლექსს ვკითხულობ, როცა თვალს
 ვაწყვებ,
 თქვენ თვალბეჭდებში რომ ციმციმებს, ჩემი ლექსის ფრაზები.

როგორც ყველა ჩემი ლექსი ესეც ჩემი ფანდია,
 ყველაფერი ეს რომ მიყვარს ვიცი ჩემი ბრალაია.

მიყვარს ღამე საიდუმლოს დილაძღე რომ ინახავს,
 მიყვარს ჩემში ის ადგილი რაც მინახავს.

მოდით დავგმოდ, ყველამ ერთხმად, ვინც სიცოცხლის
 ხამია,
 ეს ლექსიც რომ მოგეწონათ, ვიცი ჩემი ბრალაია...

თემო აღიშვილი

კუგელმასის უემთხვევა

გული აღენის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით.

პიესის ვერსიის ავტორი – **მზია მანჯავიძე**

მოქმედი პირები:

კუგელმასი – შუა ხნის პროფესორი, მელოტი,

ტანსრული მამაკაცი

ლოქტორი შანდელი (ფსიქოანალიტიკოსი) –

სათვალისწინებელი, მკაცრი გარეგნობის, ქალი

დაფნა – კუგელმასის ცოლი, პრეტენზიული

გარეგნობის ქალბატონი

მადამ ბოვარი – ახალგაზრდა, მომხიბვლავი ქალი

პერსკი – ჯადოქარი, გამხდარი, დაბალი ტანის კაცი

ფანტასმაგორიული პერსონაჟი – ზმნა „ქონა, ყოლა“

სცენა 1. „პროფესორი“

სცენაზე დგას სავარძელი წიგნებით გარშემორტყმული. გვერდით პატარა მაგიდაა, რომელზეც დევს სიდიპლეიერი და ელექტრო ლამპა (განათებული).

სცენაზე შემოდის შუა ხნის მამაკაცი, მხრებზე შემოხვეული შალითი, ცალი ხელით გულზე წიგნი მიუკრავს, მეორეში ჩაის ჭიქა უჭირავს, საიდანაც ორთქლი ამოდის.

კაცი ჯდება სავარძელში, მოსვამს ჩაის, მაგიდაზე დგამს ჭიქას და წიგნს გადაშლის.

წიგნს გარკვევით აწერია „ესპანური ენის გრამატიკის ინტენსიური კურსი“.

კაცი იკეთებს სათვალეს, გვერდით მდგარ სიდიპლეიერში რთავს მუსიკას (ისმის ბახის მათეს პასიონის მუსიკა), იღებს წიგნს, გადაშლის და კითხულობს, დრო და დრო ჩაის მოსვამს. ცოტა ხანში კაცი წიგნს მუხლებზე დაუშვებს და თავს თვალდახუჭული სავარძელს მიაყრდნობს.

ბახის მუსიკა ნელ-ნელა ჩუმდება. მას ენაცვლება შამანური სარიტუალო ტამტამების რიტმული ხმა.

მოულოდნელად კაცი დგება, შალს და წიგნს გვერდზე მოისვრის და იწყებს რიტმზე ტანის რხევას.

კაცი ნელ-ნელა დაიძვრება ადგილიდან, სცენას გადაკვეთს ასეთივე მოძრაობით და ჩერდება სცენის კუთხეში, სადაც ნათდება ადამიანის ზომის წიგნის გარეკანი, რომელსაც გარკვევით აწერია „ესპანური ენის გრამატიკის ინტენსიური კურსი“.

ცოტა ხანში წიგნიდან გამოდის ფანტასმაგორიული არსება, რომელსაც გულზე ჰკიდია წარწერა – უწესო ზმნა „ქონა, ყოლა“.

იგი გაშეშებული დგას.

კაცი ისე მოძრაობს რიტმზე, თითქოს ცდილობს ამ არსებას შეულოცოს.

ზმნა ამოდრავდება, ნელ-ნელა იმეორებს კაცის მოძრაობას და ბოლოს ისე აქტიურდება, რომ კაცი გაჩერდება და შეშინებული უკან იხევს.

ზმნა მას მისდევს აღზნებული.

კაცი გარბის.

ორივე ტოვებს სცენას. (შუქი ქრება.)

სცენა 2. „ფსიქოლოგის კაბინეტში“

ფსიქოლოგის ტახტზე წევს კუგელმასი (პროფესორი კაცი წინა სცენიდან. გვერდით, სკამზე ზის ფსიქოანალიტიკოსი – ლოქტორი შანდელი).

კუგელმასი – ჩემს პირველ ცოლს – ფლორას ალიმენტებს ხომ ვუგზავნი, ყელამდე ვარ ვალებში, მაგრამ შთამომავლობას ზრუნვა სჭირდება. მოგესვენებათ, ორი მოსულებლო ვაჟიშვილი მყავს მასთან, ვერაფერს ვიზამ. მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ყველაფერი ასე ცუდად შემომიბრუნდებოდა.

დაფნა – ჩემი მეორე ცოლი. ვინ წარმოიდგენდა, რომ პლიაჟის ბურთივით გაიბრუნებოდა. არა, ახლა მასზე დაქორწინების წინაპირობას მისი ფული არ წარმოადგენდა, მაგრამ ჩემისთანა ანგარიშგასაწევ კაცისათვის მაინც... არ იყო ცუდი... (პაუზა).

ახალი ალი მჭირდება, რომანი მჭირდება, შეიძლება ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ ისეთი კაცი ვარ, რომლისთვისაც რომანტიკა აუცილებელია. ნაზი გრძნობები მჭირდება, ფლირტი მჭირდება. თანდათან ხომ არ ვახალგაზრდავდები. ჰოდა, სანამ გვიანი არ არის, მინდა სექსით დავტკბე ვენეციაში, სიტყვამოსწრებულად ვისუბრო კაზინო „21“-ში, მორცხვი მზერა გავაპარო სანთლის შუქზე, ხელში წითელი ღვინით, გესმის, რას ვამბობ?

ლოქტორი შანდელი – რომანი არაფერს შეცვლის, თქვენ რეალობას ხართ მოწყვეტილი. თქვენი პრობლემები გაცილებით ღრმაა.

(სცენის უკანა კედელი ნათდება. „ზმნის“ ჩრდილი როკით გაივლის დოლის რიტმზე).

კუგელმასი – რასაკვირველია, საკმაოდ თავშეკავებული ვიქნები. მეორე განქორწინებას ვერ გადავიტან. დაფნა სულს ამომხდის.

ლოქტორი შანდელი – მისტერ კუგელმას...

კუგელმასი – სიტი-კოლეჯიდან არ უნდა იყოს, დაფნაც იქ მუშაობს. ფაკულტეტზე ისეთიც არაფერ არის, თუმცა სტუდენტ გოგონებს შორის...

ლოქტორი – მისტერ კუგელმას...

კუგელმასი – დამეხმარეთ. წუხელ დამესიზმრა: მდელით დავხტოდი ხელში პიკნიკის კალათით და კალათაზე კი ეწერა „ვარიანტები“... მერე კი დავინახე კალათში ნახვრეტი იყო...

ლოქტორი შანდელი – მისტერ კუგელმას, ყველაზე უარესი, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ – მოქმედების დაწყებაა. უბრალოდ თქვენი გრძნობები გამოხატეთ და ჩვენ ერთად შევეცდებით მათ გაანალიზებას. საკმაოდ დიდი ხანია ვმკურნალობთ, ისიც იცით, რომ ერთ დამეში ვერ არაფერს გამოჯანმრთელებულა. და ბოლოს – მე ფსიქოანალიტიკოსი ვარ, ჯადოქარი კი არა!

(კუგელმასი ტახტიდან დგება, უაზროდ მომღიმარი სახით წინ დგამს რამდენიმე ნაბიჯს).

– ჰო, მე ალბათ ჯადოქარი მჭირდება!

შუქი ქრება. ისმის ტამტამების რიტმული ხმა.



სცენა 3. „კუგელმასი ცოლთან“

კუგელმასის ბინა. სცენაზე სავარძელი დგას. გვერდით პატარა მაგიდა, ზედ ტელეფონით. სავარძელში გადაწოლილი კუგელმასი მოღუშული სახით გაზეთს ათვალიერებს.

შემოდის მისი ცოლი – დაფნა, თავზე ბიგუდებით. კუგელმასი მას შეუბღვერს. ქალი ასევე უკმაყოფილოდ შეხედავს და თავზე ბიგუდების სწორებით გაივლის, მაშინვე შემოდის ხელში იატაკის ჯოხით და კუგელმასის ფეხებზე იწყებს ენერგიულ წმენდას. კუგელმასი ფეხებს ზევით სწევს და საქმიანად ჩაჰყურებს გაზეთს. რეკავს ტელეფონი. დაფნა ტელეფონისკენ შეტრიალდება.

კუგელმასი – მე ავიღებ, (დგება და ყურმილს იღებს), ალო!

ისმის ხმა – კუგელმასი? კუგელმას, მე პერსკი ვარ.

კუგელმასი – ვინ?

ხმა – პერსკი, დიდი პერსკი.

კუგელმასი – უკაცრავად?

ხმა – გავიგე, მთელ ქალაქში ჯადოქარს ეძებთ, თქვენს ცხოვრებაში ცოტაოდენი ეგზოტიკა რომ შეიტანოთ, ჰო, თუ არა?

კუგელმასი – (ხმას დაუწევს) ჩემს, არ დაკიდოთ, საიდან რეკავთ პერსკი?

შუქი ქრება. ისმის ტამბამების რიტმი.

სცენა 4. „დიდი პერსკი“

სცენაზე მდგარი, კარისოდენა ხის ჩარჩოზე ჩამოკიდებულია პატარა ზარი, მის უკან დგას ძველი სკამი, უცნაური ნივთები, აქა-იქ თასმებზე ჩამოკიდებულია სხვადასხვა ზომის წიგნები. ჯადოქარი პერსკი ტამბამის რიტმზე როკავს. სცენაზე დაბნეული, მაგრამ აღტკინებული სახით შემოდის კუგელმასი, მიდის კარის ჩარჩოსთან და ყოყმანის მერე ზარს რეკავს. გამოდის პერსკი.

კუგელმასი (აღთფრთხილებული ათვალიერებს) – თქვენ ხართ პერსკი, დიდი?

პერსკი – დიდი პერსკი. ჩაი გნებაუთ?

კუგელმასი – არა, რომანტიკა მინდა, მუსიკა მინდა, სიყვარული და სილამაზე მინდა.

პერსკი – ჩაი არ გნებაუთ? საოცარია. კარგი, დაბრძანდით.

(კუგელმასი ჯდება. პერსკი გადის. ისმის ავეჯის გადაადგილების, ბრახუნის ხმები. პერსკი რაღაც უცნაურ კაბინას შემოაგორებს, რომელზეც ჩამოკიდებულია უცნაური ნივთები: ზანზალაკები, ფერადი ნაჭვები. პერსკი მას ჩამოსხნის და დაფერთხავს, დგება მტვრის ბუღი).

კუგელმასი – პერსკი, ახლა ითვალთმაქცებთ არა?

პერსკი – ყურადღებით იყავით, მშვენიერი ტრიუკია. გასულ წელს პითიას რაინდების თავყრილობისთვის დავამუშავე, მაგრამ ბილეთები არ გაიყიდა.

შეძვერით კარადაში!

კუგელმასი – რატომ? დაშნებს გაუყრით და რამე?

პერსკი – აქ დაშნებს ხედავთ?

(კუგელმასი ყოყმანის მერე კარადაში შედის. კარებზე ჩამოკიდებულ ბურთულას ხელს გაჰკრავს და გააქანებს).

პერსკი – ახლა ყურადღებით მისმინეთ, თუ კარადაში თქვენთან ერთად რომელიმე რომანს მოვათავსებ, კარს

დავკეტავ და სამჯერ დავაკაკუნებ, წამსვე იმ წიგნში აღმოჩნდებით.

(კუგელმასი სკეპტიკურ სახეს იღებს).

პერსკი – წმინდა წყლის სიმართლეა. ხელი გამიხმეს, ასე თუ არ იყოს. თუმცა რომანი აუცილებელი არ არის. მოთხრობა, პიესა, ლექსი... შეგიძლიათ მსოფლიოს საუკეთესო მწერლების შექმნილი ქალებიდან ნებისმიერს შეხვდეთ ვისზეც კი გიოცნებიათ. ნებისმიერი ჩანაფიქრის განხორციელებას მოახერხებთ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებთან, ხოლო როცა მოგებზრდებათ, დამიყვირეთ და ნახევარ წამში უკან დაგაბრუნებთ.

კუგელმასი – მითხარით პერსკი, ამბოლატორიულ მკურნალობის კურსს გადინართ?

პერსკი – გეუბნებით, ეს მაღალი დონის მომსახურებაა!

კუგელმასი (სკეპტიკურად) – რას ამბობთ, განა შესაძლებელია, ამ უვარგის თვითნაკეთ ყუთში ისე ვიმოგზაურო, როგორც თქვენ აღწერთ?

პერსკი – ოც დოლარად კი!

კუგელმასი საფულეს იღებს – მაშინ დავიჯერებ, როცა ჩემი თვალით ვნახავ.

(იგი ფულს აძლევს პერსკის. პერსკი ფულს შარვლის ჯიბეში იღებს. კუგელმასი ტრიალდება, კარადას ხელით სინჯავს, ათვალიერებს და შიგ გაუბედავად შეაბიჯებს).

პერსკი – კარგი, ვისთან გსურთ შეხვედრა? (პერსკი ჰაერში ჩამოკიდებულ წიგნებთან მიდის და ხან ერთს გაჰკრავს ხელს, ხან მეორეს). ჰესტერ პრინი? ოფელია? იქნებ ვინმე სოლ ბელოუს რომანებიდან? ტემპ დრეიკზე რას იტყვით? თუმცა თქვენი ასაკის კაცისათვის ეს თავის ატკიებას ნიშნავს.

კუგელმასი – ფრანგი მინდა, ფრანგი საყვარელი მყავდეს.

პერსკი – ნანა?

კუგელმასი – არა, არ მინდა, რომ ფულს ვუხდიდე.

პერსკი – ნატაშა „ომი და მშვიდობიდან“?

კუგელმასი – ფრანგი მეთქი ვთქვი! ემა ბოვარზე რას იტყვით? სწორედ ის არის, რაც მინდა.

პერსკი – კუგელმას! ის თქვენია!

(პერსკი ერთ-ერთ წიგნს თასმიდან ხსნის და კუგელმასს კარადაში შეუგდებს). – დამიყვირეთ, როცა აღარ გენდომებთ.

კუგელმასი წიგნს იღებს და ათვალიერებს – დარწმუნებული ხართ, რომ უსაფრთხოა?

პერსკი კაბინის კარს კეტავს – უსაფრთხო... განა არის რამე უსაფრთხო ამ შეშლილ სამყაროში?

(პერსკი კარზე სამჯერ აკაკუნებს და შემდეგ კარს აღებს. კუგელმასი გამქრალია. შუქი ქრება. ისმის ვალსი).

გაგრძელება შემდეგ ნომერში